პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERXOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 შაბათი 16 აგვისტო № 191 (16317) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე 137 დღე დაკრძალული

გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები თხევადებულ სამუშაო ადგილზე — ეს ნიშნავს წარმატებით დავამთავროთ მეცხრე ხუთწლედი და მოვემზადოთ მეათე ხუთწლედისათვის.

დამკვრელური შრომა — ყველა უბანზე!

მხარს უჭერენ გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის თაოსნობას

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში ლვოვის ოლქის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების მუშაობის გამოცდილების შესახებ“

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა დადებითი გამოცდილება შეიძინეს პროდუქციის ტექნიკური დონის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლებაში.

საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა კონკრეტული პასუხია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებისა — მიაღწიონ, რომ მეათე ხუთწლედი გახდეს უწინარეს ყოვლისა ხარისხის ხუთწლედი, ეფექტიანობის ხუთწლედი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო-ტექნიკური გაერთიანებისა და მოტოქარხნის კოლექტივების ინიციატივით 1975 წელი გამოცხადებულია ხარისხის ხუთწლედისათვის ყოველმხრივ მზადების წლად. ამ დიდმნიშვნელოვან წამოწყებას მხარი დაუჭირა ოლქის ბევრმა საწარმომ.

ქალაქ ლვოვის მოწინავე ქარხნებში შეიმუშავეს და აქტიურად ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სიხტემა. მასში თავმოყრილია ხარატვის, მოსკოვის, ლენინგრადის, ხვერდლოვსკის, გორკის, იაროსლავლის, კრემენჩუგის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის პრაქტიკულად გამართულები გამოცდილება. ამ გამოცდილების შემდგომმა შემოქმედებითმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა გეგმიან საფუძველზე განხორციელებულიყო ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომა, ხარისხის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული მეთოდების შერწყმა.

კომპლექსური სისტემის ფარგლებში ერთმანეთთან დაკავშირებულია ტექნიკური, ეკონომიური, სოციალური და საორგანიზაციო ღონისძიებანი. ეს საშუალებას იძლევა მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით აქტიური გავლენა მოახდინონ ხარისხის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე — ნაწარმის კონსტრუირებაზე, წარმოებასა და ექსპლოატაციაზე.

ლვოვის საწარმოებში ხარისხის მაღალ მაჩვენებლებს უწინარეს ყოვლისა საფუძველს უყრიან ახალი სახეობის პროდუქციის დაპროექტების პროცესში, რაც უკვე ამ სტადიაზე უზრუნველყოფს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მოთხოვნებისადმი მათს შესაბამისობას.

დიდი ყურადღება ეთმობა წარმოებაში ხარისხის დაგეგმილი დონის სტაბილურობის მიღწევის ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიზნით ბეჭითად სრულდება სამუშაოები, რომ შემცირდეს სუბიექტური ფაქტორების გავლენა ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე, დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგია და მართვის საშუალებანი. მოიწყოს დამხმარე სამუშაოთა მექანიზაცია, განვითარდეს მიკროლოგიური ბაზა და კონტროლის საშუალებანი, მოიწყოს ხარისხის შიდასაქარხნო ატესტაცია, სათანადო დონეზე დაიცვან ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა.

ლვოვური სისტემა სტიმულს აძლევს საწარმოებს ამაღლონ მათ მიერ გამოშვებული მანქანებისა და მოწყობილობის ეფექტიანობა. გაერთიანებებმა და დიდმა ქარხნებმა დამზადებული ტექნიკის უდიდესი კონცენტრაციის რაიონებში შექმნეს საყოფი პუნქტების ქსელი, დროულად იყენებენ ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ, აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ რემონტის ხარისხზე და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის შემცირებაზე.

პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას საფუძვლად უდიეს საწარმოთა სტანდარტები, რომლებიც სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად მუშავდება. ქარხნის სტანდარტები არეგლამენტებენ ყველა ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიური ღონისძიების განხორციელებას, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. აწესებენ თვითეული შემსრულებლის მოქმედების წესსა და პასუხისმგებლობას პროდუქციის მაღალი ტექნიკური დონის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის მიღწევისათვის ბრძოლაში.

ქარხნის სტანდარტები შესაძლებლობას გვაძლევენ მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ მასალები და შრომითი რესურსები, დროულად მივაპაროთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ყურადღება წარმოების დამატებითი რეზერვების გამოყენებას, ისინი ობიექტურად ავალებენ საწარმოს თვითეულ მშრომელს დღენიადაგ იმაღლებდნენ ცოდნასა და პროფესიულ ოსტატობას. ამასთან დაკავშირებით გაერთიანებებსა და ქარხნებში სისტემატურად იზეიწება კადრების მომზადების მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელთა ეკონომიურ განათლებას.

მაჩვენებლები, რომლებიც სტანდარტებს უდიეს საფუძვლად. საშუალებას გვაძლევენ სწორად შეავფასოთ ყველა მუშაკის კონკრეტული წვლილი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, რომელსაც ვითვალისწინებთ მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებების განსაზღვრისას.

საწარმოთა სტანდარტებ ამაღლებენ ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარისხისათვის მომწოდებელთა პასუხისმგებლობას, ხელს უწყობენ საბოლოო პროდუქციის დამამზადებელი კოლექტივებისა და მათი მომჯავშნების ნაკმიანი თანამშრომლობის განმტკიცებას.

ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა არსებით გავლენას ახდენს წარმოების ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე. ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ერთიორად და მეტად გაიზარდა ნაწარმის საიმედოობა, ორი მესამედით გაანახლდა მისი ასორტიმენტი. საწარმოო გაერთიანების „მიკროხელსაწყოს“ კოლექტივმა ორჯერ შეამცირა წუნისაგან მიღებული ზარალი. ლვოვის ალმახის ინსტრუმენტის ქარხანას უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პროდუქციის ხარისხისათვის არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. ლვოვის ოლქის ბევრი საწარმო ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის საფუძველზე დღენიადაგ ადიდებს ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის გამოშვებას. მათ შორის არის კინესკოპების ქარხანა, კონვეიერსამშენებლო ქარხანა. კარგ შედეგებს მიაღწიეს ბარეთვე გაერთიანება „ელექტრონის“, ფეხსაცმლის გაერთიანება „პროგრესის“, საფეიქრო და ყვების მრეწველობის მეთელ რიგ საწარმოთა კოლექტივებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დადგენილებაში ხაზს უსვამს, რომ ლვოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს, რათა ფართოდ შეეხვევლოს და გაავრცელოს მოწინავე გაერთიანებებისა და საწარმოების გამოცდილება, რომლებმაც პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს. პარტიის საოლქო, საკალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოქმედებენ პროდუქციის ხარისხის საზოგადოებრივი კომისიები, ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოები, რომლებიც სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ანალიზის საფუძველზე ამუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და ეხმარებიან მათ მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ბეჭითად ზრდიან მშრომელებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების სულისკვეთებით. ისინი რეგულარულად აწყობენ ტექნიკურ კონფერენციებს, „ხარისხის დღეებს“, დათვალიერებებს, კონკურსებს, ამ მიზნით ფართოდ იყენებენ ქარხნის პრესახა და რადიოს.

ოლქში დაწვრილებით შეისწავლეს და ინერგება ქვეყნის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ერთიანი სისტემის გამოყენების საკმეში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ფართოდ დანერგვა არსებითად აჩქარებს მთელ მუშაობას საწარმოს ტექნიკური დონის, საიმედოობისა და გამძლეობის ამაღლებისათვის. საჭიროა შეძენილი გამოცდილების საფუძველზე კვლავაც ვაუმჯობესებდეთ ამ სისტემას, დღენიადაგ ვავლენდეთ და უფრო სრულად ვიყენებდეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ლვოვის ოლქის მრეწველობის მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების მუშაობის გამოცდილება პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში ლვოვის ოლქის მოწინავე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს ურჩია მოაწყონ საწარმოთა სტანდარტების საფუძველზე პროდუქციის ხარისხის უწყვეტი ზრდის დაგეგმვისა და უზრუნველყოფის საქმეში ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განახორციელონ ღონისძიებანი მრეწველობაში მისი ფართოდ დანერგვისათვის.

სსრ კავშირის სახსტანდარტს დაევალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განაზოგადოს პროდუქციის ხარისხის მართვის ლვოვური, სარატოვული, იაროსლავლური და სხვა სისტემების გამოყენების შეძენილი გამოცდილება და ამ საფუძველზე შეიმუშაოს ხარისხის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემის ძირითადი პრინციპები, აგრეთვე მოამზადოს წინადადებანი სახალხო მეურნეობაში ტიპობრივი ტექნოლოგიური პროცესების, აღჭურვის, ინსტრუმენტის, მექანიზაციის საშუალებათა დანერგვის შესახებ, წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ერთიანი სისტემის სტანდარტთა კომპლექსის ბაზაზე.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს რჩევა მიეცათ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვაში ლვოვის ოლქის საწარმოთა მუშაობის გამოცდილება გაანიხილონ კოლეგიათა სხდომებზე საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაავალა გამოაქვეყნონ მასალები პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოების პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივებს მუშაობის პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე მოაწყონ გადაცემები ამ თემაზე ცენტრალური რადიოთი და ტელევიზიით.

საჭიროდ ცნეს აგრეთვე 1976 წლის მეორე კვარტალში ქალაქ ლვოვში გაიმართოს პარტიულ მუშაკთა, მრეწველობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა საკავშირო სემინარი ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვაში ლვოვის ოლქის საწარმოთა მუშაობის გამოცდილების შესწავლისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამერიკის კონგრესმენთა დელეგაცია

იალტა. 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება პალატის სპიკერის კ. ალბერტის მეთაურობით. მხარეები საქმიანი და გულახდილი საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლო წლებში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის არსებითს გაუმჯობესებას, რომელიც, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, შეესაბამება საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ინტერესებს, ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საუბარში დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო ვითარების აქტუალურ საკითხებსა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ისახება სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის წარმატებით დამთავრება „აპოლონ-სოიუზის“ ერთობლივი ექსპერიმენტული ფრენა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის განვითარებაში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა როლს ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავებასა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში და აღნიშნეს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს შორის რეგულარული ურთიერთობისა და კონტაქტების განგრძობა.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გ. ე. ცუკანოვი, გ. ა. არბატოვი, ლ. მ. ზამიატინი;

ამერიკის მხრივ — კონგრესმენები რ. მაიკლი, მ. პრაისი, კ. ზაბლოკი, ე. ბოლანდი, დ. ბრადემასი, დ. ლატა, დ. კუილენი, ფ. ბერტონი, ვ. გრინი, ს. ეიტსი, ტ. კარტერი, ტ. ფოლი, ტ. ბევილი, ბ. არჩერი, გ. დანიელსონი, მ. ფენვიკი, „აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უოლტერ ჯ. სტეესელი.

მხურვალე მილოცვები

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ამხანაგ კიმ ირს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — კორეის განთავისუფლების 30-ე წლისთავს.

1945 წლის აგვისტოში — ნათქვამია დეპეშაში, საბჭოთა შეიარაღებული ძალების დარტყმების შედეგად დაიმსხვრა დამპყრობლური ომების გზებით შეკოწიწებული იაპონელ მილიტარისტთა იმპერია. იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ ხელშემწყობი პირობები შექმნა, რათა ძალაუფლება კორეაში გადასულიყო კორეელი ხალხის ხელში, რომელიც კომუნისტთა მეთაურობით თავდადებით იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელთა მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ. თავისი მებრძოლი ავანგარდის — შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის მშრომელთა მასებმა წარმატებით მოახდინეს სახალხო-დემოკრატიული, შემდეგ კი სოციალისტური რევოლუციები. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით მოკლე პერიოდში გადაიქცა განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სახელმწიფოდ. შთამბეჭდავი წარმატებებია მოპოვებული კულტურის, მეცნიერების, სახალხო განათლების დარგში. დღეს რესპუბლიკის მუშათა ალსა, კოოპერირებული გლეხობა და ინტელიგენცია ენერგიულად იბრძვიან, კორეის შრომის პარტიის მეხუთე ყრილობის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების ექვსწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელად ხარობენ სოციალიზმის მშენებლობაში მომძლე კორეელი ხალხის მიღწევებით, ძუდამ უჭერენ მხარს სამშობლოს შეუდრეკლად გაერთიანებისათვის მის სამართლიან ბრძოლას. განვლილი 30 წელი დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება საბჭოთა და კორეელი ხალხების ღვიძლ ინტერესებს, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების განმტკიცებას, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ინტერესებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც სფუძველად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები და შედეგებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, კვლავაც განუხრელად განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კორეის განთავისუფლების 30-ე წლისთავის ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ნათქვამია დეპეშაში, თქვენ და კორეელ ხალხს მხურვალედ გისურვებთ ახალ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, მშვიდობიან დემოკრატიულ სფუძველზე სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

მილოცვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოში სამ დღეს იმყოფებოდა შვეიცარიის კომუნისტთა მემარცხენე პარტიის გამგეობის მდივანი უბან კარლსონი, რომელიც რესპუბლიკის ცხოვრებას ეცნობოდა.

14 აგვისტოს, თბილისიდან გამგზავრების დღეს, უ. კარლსონი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ჯ. ი. პატიაშვილთან გაიმართა საუბარი რესპუბლიკის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების შესახებ.

საუბარს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. გ. ოყროშიძე.

(საქინფორმი).

ინიციატორთა მხარდამხარ

ჰიათურა. („კომუნისტის“ კორ.). მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი ვ. სამხარაძე) კოლექტივმა, რომელმაც მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება, მორიგ წარმატებას მიაღწია. მაღაროელებმა ხუთწლედში სასახელოდ იშრომეს — 295.500 ტონის ნაცვლად დამზადეს 295.775 ტონა სასაქონლო პროდუქცია და ხამშობლის ხუთი თვით ადრე უპატაკეს მეცხრე ხუთწლედის გეგმის შესრულება. წლის განვლილ 7 თვეში გეგმით გათვალისწინებული 2.758 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციის ნაცვლად მოახდინეს 2.972 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქციის რეალიზაცია.

მაღაროელები ფართოდ გამოუხმაურნენ გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის ინიციატივას და თავიანთ მიტინგზე ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ისინი წლის ბოლომდე მომავალ ხუთწლედის ანგარიშში დაამზადებენ 23.675 ტონა პროდუქციას.

ხ. კუპატაძე.

ტყვარჩელელთა წარმატება

ქვანახშირის საწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელმა“ ვადამდე შეასრულა ქვანახშირის მოპოვებისა და პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი № 2 შახტისა და სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის შახტის კოლექტივებმა. მათს ანგარიშზეა ასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია.

გაიჩაღა რა შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გაერთიანების კოლექტივმა პირობა დადო, რომ რვა თვის გეგმის გადაჭარბებით კიდევ 35 ათას ტონა ქვანახშირს გამოუშვებს და გაანაღდებს მილიონ ნახევარ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას. (საქინფორმი).

თბილისის „ელექტროიზოლიტის“ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის მეოთხედი შემკვეთებს ხარისხის ნიშნით ბარდება. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს კოლექტივმა ჯერ კიდევ 24 ივლისს შეასრულა შვიდი თვის დავალება. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა მოწინავე მუშამ მერი ნამორაძემ (სურათზე).

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მაგალითისამებრ

საწარმოო ფართობების ეფექტიანად გამოყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც დადგა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დევიზით: „ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე — პროდუქციის მაქსიმალური ანარიცხი და ამასთან შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდა“.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1975 წელს საწარმოო ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის ანარიცხი გაზარდოს 404 მანეთამდე ნაცვლად მიმდინარე ხუთწლედში მიღებული 324 მანეთისა, ხოლო მეათე ხუთწლედის დამლევისათვის — 460 მანეთამდე, ე. ი. გადიდოს 13,8 პროცენტით. ამ გზით უნდა უზრუნველყონ ხუთწლედისათვის გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების მატება 60 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდასთან ერთად. საწარმოო ფართობების რაციონალურად გამოყენების მეოხებით საქონრო ღირებულება 4600 კვადრატული მეტრით მათი გაფართოება, რაც უდრის 500 ათას მანეთ კაპიტალდაბანდებათა ეკონომიას.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტის გაანგარიშებით, ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელს გახდის მეათე ხუთწლედში ქარხანამ მიიღოს ეკონომიური ეფექტი 884,3 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო ამ წამოწყებით რესპუბლიკაში გავრცელებით დაიზოგება ასობით მილიონი მანეთი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მიიჩნიეს რა საწარმოო ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის ანარიცხის გადიდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ ხარისხობრივ მაჩვენებლად, მოიწონეს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა და პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცეს ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში საწარმოო ფართობების ეფექტიანი გამოყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშალვისა და ფართოდ გავრცელებისა.

ბრიგადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ზოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 15 აგვისტოს 53 წლის ასაკში გარდაცვალა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ხაოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ზოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შ. მ. თათარაშვილის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები შ. დ. კეკნაძე (თავმჯდომარე), შ. ვ. ყარყარაშვილი, ვ. მ. ხინთბა, ზ. გ. ახვლედიანი, შ. ა. თითბერიძე, ზ. ა. კვაჭაძე, ლ. ბ. მარშანია, ვ. ტ. მოკინბა.

შ. მ. თათარაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ვიზიტი დაჩთავრდა

იალტა, 15 აგვისტო. (საკდესის კორ.). გუშინ საღამოს ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სახელით სადილი გაუმართეს ამერიკელ კონგრესმენებს.

დღეს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია პალატის სპიკერის კ. ალბერტის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ეხმაურებიან ცხაკაიელ კომუნისტებს

სიტყვის ძალა

ჩემს საავტაციო უბანში 48 მეშახტის ოჯახი ცხოვრობს. ქვანახშირისათვის მებრძოლი ადამიანები ძალიან ცოტნენ არ იშურებენ, რომ ღირსეული შრომითი სიხარტრები მიუძღვნან პარტიის XXV ყრილობას, ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებანი. ორჯონიკიძელებმა (სეი ეძახიან ტყიბულქვანახშირის ორჯონიკიძის სახელობის შახტში მომუშავეებს) მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით — 102,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით ამოღებულ იქნა ათი იშელონი ენერგეტიკული სათობრი. ამავე პერიოდში თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,6 პროცენტით გაიზარდა.

ცხადია, ამ წარმატებებს ვერ მივაღწევდით შემოქმედებითი მაჯის ცემა არაგვის წყლის შადრევანი, ივი ირბში ხადის, რომლისგანაც ერთი ტოტი ვენახში შედის, წყალს მიმართულებას აძლევს რეზინის ჩექმებსა და ბრეზენტის შარავლში (მრწყველს სპეციალისტმელია) გამოწყობილი ლიმატრი ბერიაშვილი, სახეზე ოფლი გადასდის, მაგრამ მაინც ეღიმება: — გვალვის წინააღმდეგ ქუდზე ქაცი გამოვიდა, მეც ამათთან ვარ, ღღისითაც ვრწყავთ და ღამითაც, შემცველლად მყავს შვილი — სოკრატი, — გეუბნება ლიმატრი და მერე ისევ ღიმილით აგრძელებს, — ისე კი არ არის, როგორც ზღაპარში იყო. ლევ სათავეში იდგა, წყალს გინდ გამოუშვებდა, გინდ არა. წყალი უხვად გვაქვს, ეს ვენახი გასულ შემოდგომაზე მოვრწყეთ, მერე გაზაფხულზე და ახლაც არ ვაკლებთ წყალს, აბა გახედეთ, რა ფერი აღევს ვაზებს, როგორი მტევნები ამამებთ...

მეურნეობის ფიზიკტორი ალეკსი ლობჟანიძე, მთავარი აგრონომი გივი ბოხეევშვილი და ბრიგადირი მიხეილ ფაჩაშვილი მიამბობენენ, რომ რწყვის გონივრული ორგანიზაციით, გვალვამ თავისი მსახვრალი ხელი ვერ დაატყო ვერც ვენახს და ვერც ბოსტნეულს. მეურნეობაში 970 ჰექტარი ირწყვება, რომელიც მთლიანად მორწყული გვაქვს.

გვალვამ ვერ შეაცვალა ჩვენი სოციალისტური ვალდებულებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მივყიდით ათას ტონა ყურძენს, 4 ათას ტონა ბოსტნეულს. ნატახტრული პომიდერისა და ატმის პირველი ტონები უკვე მივაწოდეთ დედაქალაქის მშრომელებს, მოსავლის აღების ტემპი თანდათან მატულობს. დაავგროვეთ პირუტყვის საკვების ორი წლის მარაგი, 500 ტონის ნაცვლად ჩავდეთ 1.100 ტონა სენაჟი, დავზგინეთ და ფერმებთან მივიტანეთ 350 ტონა თივა, ნაცვლად 250-სა, 500 ტონა ნაბოჯა ნაცვლად 200 ტონისა, უხვად გვექნება სილოსიც...

ნატახტრიდან უკან რომ ვბრუნდებოდით, გაგვახსენდა დიმიტრი ბერიაშვილის სიტყვები, გვალვასთან საბრძოლველად ქუდზე კაცი გამოვიდაო. მართლაც ასეა. (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ბარისაშვილი გვალვასთან მებრძოლ რაიონულ შტაბს ხელმძღვანელობს).

...თავისებური სიმღერით მოჩუხჩუხებენ ბეტონის არტახებში მოხვევრილი მტკვრის, ქსნისა და არაგვის ტალღები. რაზე მღერიან? ალბათ გვალვის დამარცხებაზე.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

7. მცხეთელები ებრძვიან გვალვას

სამი მდინარე აწვდის წყალს მცხეთის რაიონის ელ-მინდვრებს. საქართველოს დელა-მდინარე მტკვარის ერთი ნაკადი ფერდობებზე მიიკვლევს გზას და მაცოცხლებელი წყალი მიაქვს ნიჩბისამდე, მუხრანის ზვრებისა და ბაღების წყურვილს კლავს ქსანი, ხოლო არაგვის ტალღები, ბულაჩაურის სათავე ნაგებობიდან ორმა მოიმღერეინ, ათას ნაკადულად იფანტებიან გვალვისაგან დაშაშრულ ბაღ-ვენახებსა და ყანებში.

მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო (უფროსი დ. სულაძე) ეხსახურება მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებს. მარტო მცხეთაში ირწყვება 14 ათას ჰექტარზე მეტი, დუშეთის რაიონში 1.265 ჰექტარი. სამმართველოს განკარგულებაშია მძლავრი ტექნიკა — 7 სატუმბავი სადგური, რომელთაც წყალი მიაქვთ თითქმის ყველგან. ამას გარდა, ამ საქმეს ემსახურება მოძრავი წყალსაქაჩი აგრეგატები, ყველა მეურნეობაში შექმნილია მრწყველთა ბრიგადები.

როგორც სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ვასილ კოხრეიძემ და განყოფილების გამგემ ოთარ ნიშნიანიძემ განაცხადეს, აქ ყოველწლიურად ამზადებენ მრწყველებს, წლეულს თებერვალში საეკიალური კურსები გაიარა 83 მრწყველმა, რომლებიც წარმატებით ებრძვიან გვალვას რაიონის ყველა მეურნეობაში.

საქართველოს სამხედრო გზა ნარეკვავი. ამ მშვენიერ ადგილას მოქმედებს სატუმბავი სადგური, რომელიც საათში სამი ათას კუბურ მეტრ წყალს აწვდის გოროვანს, ჩარდახს, წეროვანს, ქსანს, მაგრამ სანამ წყალი იქ მიაღწევდეს, მან უნდა მაღლა აიწიოს — 120 მეტრის სიმაღლეზე, რათა მერე თვითდინებით ჩაუხჩუხოს, ამას ესახურება სატუმბავი სადგურიც, მისი ძლავრი საქაჩები აიძულებენ წყალს წავიდეს იქ, სადაც საჭიროა.

სადგურის გამგემ რეზო სოხაშვილმა სიამაყით გვითხრა, რომ მუშაობენ მთელი დღე და ღამე, უავარიოდ (ამ საშინელი გვალვის დროს ყოველგვარი ავარია გამორიცხულია). ამ ორიოდე წლის წინათ კაბელი გაწყდა, ამის გამო სამი დღე გიდექით, ეს იყო და ეს...

ამ საუბარში ჩვენთან მოვიდა ჩარდახის უბნის უფროსი ბიჭიკო კალანდაძე. აგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარწყავი წყლის დისპეტჩერია, ის ანაწილებს, არეგულირებს წყალს, რომელიც 2600 ჰექტარს ემსახურება, ნატახტარი. საბჭოთა მეურნეობის ზვრები. მილიდან გადმოსჩქეფს არაგვის წყლის შადრევანი, ივი ირბში ხადის, რომლისგანაც ერთი ტოტი ვენახში შედის, წყალს მიმართულებას აძლევს რეზინის ჩექმებსა და ბრეზენტის შარავლში (მრწყველს სპეციალისტმელია) გამოწყობილი ლიმატრი ბერიაშვილი, სახეზე ოფლი გადასდის, მაგრამ მაინც ეღიმება: — გვალვის წინააღმდეგ ქუდზე ქაცი გამოვიდა, მეც ამათთან ვარ, ღღისითაც ვრწყავთ და ღამითაც, შემცველლად მყავს შვილი — სოკრატი, — გეუბნება ლიმატრი და მერე ისევ ღიმილით აგრძელებს, — ისე კი არ არის, როგორც ზღაპარში იყო. ლევ სათავეში იდგა, წყალს გინდ გამოუშვებდა, გინდ არა. წყალი უხვად გვაქვს, ეს ვენახი გასულ შემოდგომაზე მოვრწყეთ, მერე გაზაფხულზე და ახლაც არ ვაკლებთ წყალს, აბა გახედეთ, რა ფერი აღევს ვაზებს, როგორი მტევნები ამამებთ...

მეურნეობის ფიზიკტორი ალეკსი ლობჟანიძე, მთავარი აგრონომი გივი ბოხეევშვილი და ბრიგადირი მიხეილ ფაჩაშვილი მიამბობენენ, რომ რწყვის გონივრული ორგანიზაციით, გვალვამ თავისი მსახვრალი ხელი ვერ დაატყო ვერც ვენახს და ვერც ბოსტნეულს. მეურნეობაში 970 ჰექტარი ირწყვება, რომელიც მთლიანად მორწყული გვაქვს.

გვალვამ ვერ შეაცვალა ჩვენი სოციალისტური ვალდებულებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მივყიდით ათას ტონა ყურძენს, 4 ათას ტონა ბოსტნეულს. ნატახტრული პომიდერისა და ატმის პირველი ტონები უკვე მივაწოდეთ დედაქალაქის მშრომელებს, მოსავლის აღების ტემპი თანდათან მატულობს. დაავგროვეთ პირუტყვის საკვების ორი წლის მარაგი, 500 ტონის ნაცვლად ჩავდეთ 1.100 ტონა სენაჟი, დავზგინეთ და ფერმებთან მივიტანეთ 350 ტონა თივა, ნაცვლად 250-სა, 500 ტონა ნაბოჯა ნაცვლად 200 ტონისა, უხვად გვექნება სილოსიც...

ნატახტრიდან უკან რომ ვბრუნდებოდით, გაგვახსენდა დიმიტრი ბერიაშვილის სიტყვები, გვალვასთან საბრძოლველად ქუდზე კაცი გამოვიდაო. მართლაც ასეა. (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ბარისაშვილი გვალვასთან მებრძოლ რაიონულ შტაბს ხელმძღვანელობს).

...თავისებური სიმღერით მოჩუხჩუხებენ ბეტონის არტახებში მოხვევრილი მტკვრის, ქსნისა და არაგვის ტალღები. რაზე მღერიან? ალბათ გვალვის დამარცხებაზე.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

როდის არის მეცხოველეობა რენტაბელური?

ჯროგლემეგი, წინაადგეგი

მეცხოველეობის — ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასაყვანად მჭაოცე ბაზის შექმნა სოფლის მეურნეობის პრობლემათა პრობლემაა. ამ მხრივ უკანასკნელ წელს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა. კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ხაზოვადოებრივი მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, სადაც საშუალება მოგვეცემა დაინერგოს მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდები, გატარდეს მოვლის, ხანაშენო პირუტყვის მოშენების, პროდუქტიულობის ამაღლების, ფერმებში მრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების, პირუტყვის კვების მოწესრიგების, ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა ღონისძიებები.

საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების 1974 წლის საფინანსო-სამეურნეო მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეცხოველეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად გამოსწორდა იმ რაიონებში, სადაც წვრილი ფერმების ბაგირად შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ეს კი ამტკიცებს მათი ჩამოყალიბების პერსპექტიულობას.

შარშან სექტემბერში რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანების „საქკოლმეურნეხოველმრეწვის“ შექმნის შემდეგ უფრო განვითარდა რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობა. ხორციელდება სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, გაზრდილია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, შემცირებულია მათი თვითღირებულება.

ფერმებში, მეცხოველეობა უფრო რენტაბელური გახდა, 1974 წელს რეალიზებულია 17,6 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაცვლად 1973 წელს რეალიზებულ 14 მილიონ მანეთისა. მთლიანად სისტემაში მიღებულმა წმინდა მოგებამ 1,6 მილიონ მანეთს მიაღწია. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის მიყიდვის დავალებები.

სამწუხაროდ, მეწველი ძროხების, დედა ღორების სულადობის გეგმები შეუსრულებელია. ასევე შეუსრულებელია მატყლის, თაფლისა და კვერცხის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. მიმდინარე წლის პირველ სახევარში. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. 25.455.000 ცალი კვერცხის ნაცვლად წარმოებულია 25.600.000 ცალი, შარშანდელთან შედარებით 5 მილიონი ცალით მეტი.

შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა სამი მილიონი ცალით მეტი კვერცხი. თვითეულ ქათამზე 1974 წელთან შედარებით მიღებულია 13 ცალით მეტი კვერცხი. საჭიროა ვაჭრობისა და დამზადების ორგანოებმა წესრიგი დაამყარონ კვერცხის მიღება-რეალიზაციის საქმეში. მომზადებულია ყველა პირობა იმისათვის, რომ წლეულს სიღნაღის რაიონის წმინის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა გადაგვიყვანოთ საკვერცხე მიმართულების სარეპროდუქტორო მეურნეობად.

ჯერ კიდევ დაბალი მაჩვენებლებია მეცხოველეობაში ნამრავლის მიღების მხრივ. განსაკუთრებით ეს ითქმის მეცხვარეობაზე. გაერთიანებებში 100 დედა ცხვარზე მიღებულია 75 ბატკანი, თიანეთის რაიკომეურნეხოველმრეწვის გაერთიანებაში კი 100 დედა ცხვარზე მიიღეს მხოლოდ 63 ბატკანი.

საჭიროდ მიგვაჩნია მარცვალმწარმოებელ რაიონებში აშენდეს რამდენიმე საკოლმეურნეობათაშორისო ან სარაიონთაშორისო კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხანა, რომლის წარმადობა იქნება 50 ტონა ცვლაში. ამ მხრივ უნდა გადმოვიღოთ ზარიანი, მოლიგაეთის, გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების გამოცდილება. ყველა ფერმასთან უნდა მოეწყოს საკვების შემამზადებელი საამქრები. ამით შესაძლებლობა გვექნება მაქსიმალურად გამოვიყენოთ და გავზარდოთ ადგილობრივ მოყვანილი საკვების ყუთიანობა. ეს კი ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვეზესთან ერთად ამ პროდუქტების გაიაფებას.

ჩვენი აზრით, უკეთესია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, განსაკუთრებით ბლუხუმის დაურბილ მიწებზე, მეცხოველეობის განვითარება საქართველოს მხარეში საკოლმეურნეობათაშორისო, სამეურნეობათაშორისო და სარაიონთაშორისო კომპლექსების მშენებლობის მხით აჭარის, აფხაზეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, აბაშის და სხვა მიწის სავარგულების მქონე რაიონების მეურნეობათა ბაზაზე. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავამსხვილოთ მეცხოველეობის ფერმები, რომლებსაც მივცემთ პროდუქციის წარმოების ინდუსტრიულ ხასიათს, გაერთიანებაში შემავალი ყველა მეურნეობის პირუტყვი უზრუნველყოთ საკუთარი წარმოების იაფი საკვებით.

როგორც იცხარში, ისე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობაში დაბალია დედა პირუტყვის ხვედრითი წილი. მისი ზრდა კი ხელს შეუწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ხანს რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა ცხვრის წვეულს.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეხოველმრეწვი“ სისტემის ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას და სპეციალიზაციას. ამ საფუძველზე ამოცანად ვისახავთ დავამზადოთ მეტი ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი და სხვა პროდუქტები, ახალი შრომითი მიღწევებით შეხვედეთ ხკკპ XXV ყრილობას.

კ. იოსელიანი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქკოლმეურნეხოველმრეწვის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტექიმი.

ხალხთა მეგობრობის ბიბლიოთეკა

სიმბოლო

ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა სტეფანე შაუმიანის ძეგლი

ბაქო, 14 აგვისტო. (საქინფორმის სპეც. კორ). მადლიერ თაობათა გულში მარად იცოცხლებს რევოლუციის რაინდების — 26 ბაქოელი კომისრის უკვდავი სახეები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მშრომელთა ბედნიერებას, მათ ნათელ მომავალს. მამაც რევოლუციონერთა სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად აზერბაიჯანის დედაქალაქში აღიმართა ბაქოს კომუნის ხელმძღვანელის, უოუკინ ლენინის ბოლშევიკის, მეზნებარე რევოლუციონერის ს. გ. შაუმიანის ძეგლი. იგი აღიმართა ბაქოში ერთ-ერთ უდიდეს მუშათა რაიონში, რომელიც სახელად ანი კომისრის სახელს ატარებს.

დღეს სამეფოდ გაიხსნა მონუმენტი. ათასობით ბაქოელი შეიკრიბა ამ მოდელინსადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ძეგლის კვარცხლბეკთან შეიკრიბნენ ამხანაგები გ. ბ. ალიევი, დ. ჯ. გულიევი, ა. ი. იბრაგიმოვი, გ. ხ. იბრაგიმოვი, ი. ა. იბრაგიმოვი ა. ვ. ქერიმოვი, გ. ნ. სეიდოვი, კ. ა. ხალილოვი, ვ. ს. კრასანიკოვი, გ. შ. ეფენდიევი, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი ხ. ა. ორუჯევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბ. გალუმიანი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები კ. ა. გუსეინოვი, გ. ვ. შეგლოვი, ს. გ. მაუმიანის ვაჟი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ს. შაუმიანი, ბოლშევიკთა ლენინური გვარდიის ვეტერანები, ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ნახიჩევანის ასს რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციათა წევრები.

მიტინგი გახსნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. გ. ქერიმოვმა.

სიტყვა ეძღვნება აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გ. ა. ალიევს.

აღფრთოვანებითა და სიამაყით კითხულობს ხალხთა ადამიანების ყოველი ახალი თაობა დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის გმირულ მატეანეს, თქვა მან, ჩვენი თანამედროვეების წინაშე მთელი თავისი უზარმაზარი სიდიადითა და ზნეობრივი კეთილშობილებით წარმოსდგებიან მუშათა ხაქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის უდრეკ მებრძოლთა შთაგონებული სახეები. ჩვენთვის უსაზღვროდ ძვირფასია სტეფანე გიორგის ძე შაუმიანის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის. მგზნებარე რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სახელი.

